# ბოლშევიკური კადრისათვის

ტფ. სახ. უნივერსიტეტის პარტკომის, რექტორის და პროფ-ორგ. ორგანო

რედაქცია: ტფილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1 (უნივერსიტეტის შენობა)

ფასი 20 კაპ.

**დღეს ნომერში**

რაციონალურად გამოვიყენოთ საზაფხულო არდადეგები (მოწინავე).
— უნივერსიტეტის პარტკომის დადგენილება.
— გაუსწორდით მოწინავეებს.
— სიტყვას ვიძლევი.
— პროფ. შ. ნუცუბიძის კათედრა.

№ 11 (18) | 18 ივნისი 1934 წ. | № 11 (18)

## რაციონალურად გამოვიყენოთ საზაფხულო არდადეგები

სასწავლო წელი მთავრდება. სტუდენტთა ძირითადი მასა მიემგზავრება სოფლად. $2-2^1/_2$ თვის განმავლობაში, რომელსაც სტუდენტები გაატარებენ სოფლად, მათ დიდი მუშაობის ჩატარება შეუძლიათ კოლმეურნეობათა სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცების პარტიის მე-17 ყრილობის დადგენილებისა და ამხ. სტალინის მითითებების რეალიზაციის საქმეში.

ამ მხრივ ჩვენ უკვე მოგვეპოება გამოცდილება. გასულ წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა მომზადებული და გარკვეული დავალებებით წავიდა სოფლად. სტუდენტობამ დიდი მუშაობა ჩაატარა კოლმეურნეობებში და საქმიანი დახმარება აღმოუჩინა სასოფლო ორგანიზაციებს მათ მუშაობაში.

ეს გამოცდილება წელსაც უნდა გამოვიყენოთ.

რა უნდა აკეთოს სტუდენტობამ სოფლად? მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს **საკოლმეურნეო მშენებლობაში**; ფორმალიზმის და „კაზიონშჩინის" ყოველგვარი ელემენტების, კულაკური აგიტაციის გამომჟღავნებისა და მისი აღკვეთისათვის. ხელი უნდა შეუწყოს კოლმეურნეობაში სანარდო სისტემის ფაქტიურად გატაგატარებას სას.-სამ. კულტურების დამუშავებას და მოსავლის აღებას, სახელმწიფოს ვალდებულების პირველ რიგში შესრულებას კოლმეურნეობის მიერ. შემოსავლის განაწილებას, საკოლმეურნეო აღრიცხვის წესიერად დაყენებას და სხვ.

სტუდენტობამ დახმარება უნდა გაუწიოს აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს სასოფ.-სამ. გადასახადის მნიშვნელობის განმარტებისა და ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში.

სტუდენტობამ, დიდი კულტურული მუშაობა უნდა გააჩაღოს სოფლად. მოაწყოს მოხსენებები, ლექციები, წარმოდგენები, გაშალოს საკლუბო მუშაობა და სხვ.

სოფლად მიმავალ სტუდენტებს უნდა ახსოვდეს, რომ მათი მოვალეობაა მხოლოდ ხელის შეწყობა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ ორგანიზაციების მუშაობისათვის, მათთან სრულ კონტაქტში მუშაობა. მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან ამ ორგანიზაციების ფუნქციებში ჩარევა, ყოყოჩობა და მედიდურობა სოფლის მუშაკების მიმართ.

სტუდენტობის სოფლად გამგზავრების წინ საჭიროა მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება.

სოფლად სტუდენტობის ნაყოფიერი მუშაობის პირობაა— პარტიის მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა, ამხ. სტალინის ისტორიულ მოხსენების ღრმად ცოდნა, გარკვევა სოფლად ჩვენს წინაშე მდგარ პრაქტიკულ ამოცანებში.

უნივერსიტეტის პარტორგანიზაციამ დიდი მუშაობა ჩაატარა მიმდინარე წელს პარტიის პოლიტიკის საკითხების შესწავლისათვის; ეს უსათუოდ დიდ დახმარებას გაგვიწევს. მაგრამ მე-17 ყრილობის დადგენილებათა და სოფლად მდგარი საპრძოლო ამოცანების კიდევ უფრო ღრმად შესწავლის მიზნით ახლო ხანში მოეწყობა სამდღიანი კურსკონფერენციები, რომელიც უნდა გაიაროს სოფლად მიმავალმა თითოეულმა სტუდენტმა.

საჭიროა ამთავითვე ვემზადოთ და გავერკვეთ ყველა იმ პრაქტიკულ საკითხში, რომელთაც შევხვდებით სოფლად.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ კოლმეურნე გლეხი არ საჭიროებს მშრალ აგიტაციას, ის სრულიად არ აფასებს „გასტროლიორებს", რომელთაც ლაყბობის მეტი არაფერი შეუძლიათ. იგი მოითხოვს საქმიან, პრაქტიკულ დახმარებას საკოლმეურნეო მშენებლობის უახლოესი ამოცანების გადაჭრის საქმეში და ჩვენმა სტუდენტობამ ეს უნდა შესძლოს.

## საქ. კ. პ. (ბ) სახ. უნივერსიტეტის პარტკომის დადგენილება

### სტუდენტთა დახურული კოოპერატივის (მაღაზია № 2) მუშაობის შესახებ

აღინიშნოს, რომ სტუდენტთა დახურული კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. **მაქსიმე თოხაძის** მიერ ბოლშევიკური სიფხიზლის მოდუნებისა და თვითდინებაზე დაყრდნობილი მუშაობის შედეგად გასტრონომიულ მაღაზიაში ადგილი აქვს ბოროტმოქმედებისა დ გახრწნილების მთელ რიგ ფაქტებს: (ფასების საბჭოთა პოლიტიკის დამახინჯება ხორცი 15 მანეთის ნაცვლად იყიდებოდა 28 მან.); მაღაზიის ყოფ. თანამშრომლის წერეთლის მიერ დახ. კოოპ. № 2 კერძო სავაჭროდ გადაქცევა (საკუთარი ფულით საქონლის შეძენა ბაზარზე და მოგების მისაკუთრება); გაფლანგვის ფაქტები (ხუბულავა, წერეთელი და სხვ.); ლოთობის ფაქტები მაღაზიაში და ამ ნიადაგზე მაღაზიის თანამშრომლების გახრწნილება და დანაშაულობრივი მოქმედება; გამგეობის უთავბოლო მუშაობის შედეგად უმიზნოთ მივლინებები, კოოპ. აპარატის დანაგვიანება, არა ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა.

**პარტიული კომიტეტი ადგენს:**

1. სტუდენტთა დახურული კოოპერატივის თავმჯდომარე ამხ. **მ. თოხაძე** პარტიული სიფხიზლის მოდუნების, მუშაობის თვითდინებაზე დაყრდნობის, აპარატის დანაგვიანების, კოოპერატივში მასობრივი ბოროტმოქმედების, კადრების შეუსწავლელობის, არა ოპერატიული ხელმძღვანელობისა და გასტრონომიული მაღაზიის თანამშრომლებთან ერთად ქეიფობის გამო მოიხსნას გამგეობის თავმჯდომარეობიდან, **გამოეცხადოს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით და დაბალ სამუშაოზე გაგზავნით.**

2. პარტორგი **ტრაპაიძე გრიგოლი** იმის გამო, რომ მან ვერ უზრუნველყო პარტიული კომიტეტის დავალების გატარება კოოპერატივის მუშაობაში, გამოიჩინა პოლიტიკური სიჩლუნგე და მით საშუალება მისცა არასაიმედო ელემენტებს მოკალათებულიყვნენ მაღაზიაში, რამაც უკანასკნელი დააყენა გაფლანგვის ფაქტების წინაშე, და როგორც **მოლაყბე მოიხსნას საწყობის გამგის თანამდებობიდან გადაყენებულ იქნას პარტორგანიზატორის მოვალეობიდან და გამოეცხადოს საყვედური.**

3. გამგეობის წევრი **კამლაძე შალვა**, სახკვების სექტორის ხელმძღვანელი, კომკავშირელი, მოიხსნას გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან და გადაეცეს კომკავშირის კომიტეტს გარიცხვის მიზნით მაღაზიაში სისტემატური ლოთობისა და კომბინატორობისათვის.

5. გამგეობის წევრი, საქონლის მცოდნე **რუხაძე შოთა**, კომკავშირის წევრი, ფასების საბჭოთა პოლიტიკის დამახინჯებისა და მაღაზიების სრულიად ხელმძღვანელობის გარეშე დატოვების გამო, მოიხსნას თანამდებობიდან და გადაეცეს კომკავშირის კომიტეტს გარიცხვის მიზნით.

6. **სოხაძე რუბენი,** მაღაზიის გამგე, კომკავშირელი, რომელმაც გამოიჩინა სრული პოლიტიკური სიჩლუნგე და ვერ უზრუნველყო მაღაზიაში შექმნილი მდგომარეობის შესწავლა და საკითხის დროულად დასმა, მოიხსნას თანამდებობიდან და გადაეცეს კომკავშირის კომიტეტს სათანადო ზომების მისაღებად.

7. № 2 მაღაზია გამყიდველი **წერეთელი ვანო**, უპარტიო, დაუყოვნებლივ მოისნას თანამდებობიდან, როგორც სისტემატური ლოთი და გამფლანგველი, სტუდ. დახურული კოოპ. ქონების. მასალები წერეთლის ბოროტმოქმედების შესახებ გადაეცეს პროკურორს პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

8. ეცნობოს ტფ. სამომხარებლო კოოპერატიული ორგანიზაციის გამგეობას სტუდ. დახურული კოოპ. ყოფილი თანამშრომელი (საქონლისგამყიდველი) ალექსანდრე ხუბულავას ბოროტმოქმედების შესახებ მისი სამუშაოდან მოხსნისა და პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

9. ერთი დეკადის ვადაში ჩატარდეს გამოკვლევა სტუდენტთა დახურული კოოპერატივის ყველა წერტისა და გამგეობის მუშაობისა ძთლიანად ტ. ს. ო. კ-თას.

10. სტუდენტთა დახურული კოოპერატივის გამგეობის დროებითი თავმჯდომარის თანამდებობაზე რეკომენდაცია ეყოს **ამხ. დათიკო ჯანელიძე.**

11. დაევალოს ამხ. გასვიანს პარტიული კომიტეტის დადგენილება გააცნოს ტ. ს. ო. კ-ს და საკითხი დროებითი თავმჯდომარის წაყენების შესახებ დასამტკიცებლად წარუდგინოს ტფ. კომიტეტს.

დადგენილება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში.

**სახ. უნ-ტის პარტკომი.**

## გაუსწორდით მოწინავეებს

სერგო ბერია სახ. უნივერსიტეტის საგეგმო განყოფილების II კურსის № 9 ჯგუფის დამკვრელი სტუდენტია. ის აკადემიური მომზადებისა და საზოგადოებრივმასობრივი მუშაობით მისაბაძია. I კურსიდანვე საუკეთესო სტუდენტად ითვლება, ყველა საგანს აბარებს ფრიადზე. ამუშავებს საგანს მაქსიმუმ ლიტერატურით და არ კმაყოფილდება მხოლოდ ლექციის ჩანაწერებით. ამიტომაც მას საგანი ესმის **ღრმად და არა ზერელედ.**

სერგო მხოლოდ თავის ცოდნის გაღრმავებისათვის როდი მუშაობს? პარტიული კომიტეტის დადგენილებას ერთთვიურის შესახებ ის აქტიურად გამოეხმაურა, ამეცადინებს პოლიტეკონომიიში სუსტ სტუდენტებს: **ევ. არსენიძეს, თ. ებრაელიძესა და ლ. გაგუას,** აღნიშნული სტუდენტები გამოსწორდენ. განვლილ მასალას აბარებენ კარგზე. ასეთივე გამოსწორება დაეტყო სერგოს ხელმძღვანელობით მათემატიკურ სტატისტიკაში: **მოისწრაფიშვილს, სკურიდინს, და ცაგარელს.**

ის სოციალ-ეკონომიური ხასიათის წიგნებთან ერთად კითხულობს სხვადასხვა ლიტერატურას, გაზეთებს, ეცნობა და ამუშავებს დადგენილებებს. კერძოდ მას საუკეთესოდ აქვს შესწავლილი მე-17 პარტყრილობის დადგენილება. რუსული გაზეთებისა და წიგნების კითხვით მან რუსული ენა იმდენად შეითვისა, რომ თავისუფლად ხელმძღვანელობს რუსული ლიტერატურით.



სერგო ბერაია

სერგო შრომის დისციპლინის მხრივაც სანიმუშოა. მთელი წლის განმავლობაში **არ აქვს** არა საპატიო მიზეზით **გაცდენა** და არც ერთი წუთით დაგვიანება.

სერგო არის საგეგმო I და II კურსის კომკავშირის უჯრედის ბიუროს წევრი, „მკ" ხუთეულის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის „მკ" შტაბის წევრი. **ბერაია უნივერსიტეტის მაშტაბით სანიმუშო კავალერისტია** საზოგადოებრივ დავალებებს ასრულებს თავის დროზე და პირნათლად. არ ჰქონია არასოდეს მითითება საზოგადოებრივ მუშაობაში.

სერგო კულტურულად ცხოვრობს იცვამს სუფთად, საცხოვრებელი ოთახი დაცული აქვს სუფთად, დადის სისტემატიურად კინო-თეატრებში, ესწრება სხვადასხვა დისპუტებს და საჯარო მოხსენებებს, რაციონალურად იყენებს დროს.

ტ. დ.

პარტიულ თემაზე

# ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ
## თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციას

## თანამგრძნობთა შორის

**„ერთ-ერთ ახალ მომენტს პარტიულ მშენებლობაში წარმოადგენს პირველად ორგანიზაციებთან საქ. კ. პ. (ბ) თანამგრძნობთა ჯგუფების შექმნა“.** (პრავდა).

ეს მითითება ავალებს თითოეულ პარტიულ ორგანიზაციას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს, საქმით ჩაუდგეს სათავეში თანამგრძნობთა ჯგუფების შექმნას და ჩააბას მასში პარტიასთან ახლო მდგომი პარტიის გენერალური ხაზის სიწმინდისათვის თავდადებული ადამიანები.

თანამგრძნობთა ჯგუფები არ არიან პარტიული ორგანიზაციები, მაგრამ ისინი ისეთი ორგანიზაციებია, რომლებიც ძალიან ახლო დგანან პარტიასთან; თანამგრძნობთა ჯგუფები ისეთი რგოლია, რომელიც აკავშირებს მშრომელ მასებს პროლეტარიატის ავანგარდთან—კომუნისტურ პარტიასთან.

თანამგრძნობთა ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა დროულად გაშალა მუშაობა. 3 ივნისს შედგა ღია კრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის პარტ-უჯრედისა, რომელსაც დაესწრო ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. სიტყვით გამოვიდა ამხ. **ა. გასვიანი**, რომელმაც ფართოდ განმარტა თანამგრძნობთა ჯგუფების მნიშვნელობა და ამოცანები. გაიმართა კამათი, სადაც მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასა მოითხოვდა თანამგრძნობთა ჯგუფებში მიღებას. ასე მაგალითად მონტიორ მუშას ამხ. ლ. მჟავიას განცხადება შეაქვს იქვე კრებაზე და თხოულობს თანამგრძნობთა ჯგუფში მიღებას. კრებამ მიიღო საქმიანი რეზოლუცია. თანამგრძნობთა ჯგუფში შესვლის სურვილი გამოთქვეს სხვებმაც.

ჟ. ვ. გაბეჩავა.

## „კიდევ უფრო აქტიურად ჩავებმებით სოციალისტურ მშენებლობაში“

მე-17 პარტყრილობის დადგენილების საფუძველზე პარტიის თანამგრძნობთა ჯგუფების ჩამოყალიბების შესახებ, სახუნტის პარტიულმა კომიტეტმა დროულად გაშალა მუშაობა.

ეს საკითხი დამუშავდა თითოეულ აკადემიურ ჯგუფში, რამაც ფართო გამოხმაურება პოვა პარტიის წევრ, კომკავშირულ და უპარტიო სტუდენტთა შორის. პარტიის თანამგრძნობთა ჯგუფებში გაერთიანების სურვილი გამოთქვეს დამკვრელმა უპარტიო სტუდენტებმა, რომლებიც სანიმუშო მაჩვენებლებს იძლევიან გეგმების შესრულებაში და კეთილსინიდისიერად ასრულებენ საზოგადოებრივ დავალებებს; მაგალითად ეკონომიური ფაკულტეტის მე-16 ჯგუფში ირიცხება რვა უპარტიო ამხანაგი, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს პარტიის თანამგრძნობთა ჯგუფში გასაერთიანებლად, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ამხანაგები: **აქვსენტი ფიფია, გერმანე სიხარულიძე, ალ. ბოკერია. ჟენია გრიგორაშვილი და ნიკო ჩიქოვანი**, რომლებიც ყველა სასწავლო დისციპლინას აბარებენ „ფრიადზე“ და „კარგზე“, ასრულებენ საზოგადოებრივ დავალებებს და ხელმძღვანელობენ აკადემიურად ჩამორჩენილ სტუდენტებს.

ჯგუფის პროფორგმა, უპარტიო აქვსენტი ფიფიამ თავის სიტყვაში განაცხადა: „გამოვთქვამთ რწმენას, რომ შემდგომ მუშაობაში პარტიასთან ერთად მისი ხელმძღვანელობით უფრო განვამტკიცებთ და გავაღრმავებთ თანაგრძნობას პარტიისადმი, კიდევ უფრო აქტიურად ჩავებმებით სოციალიზმის მშენებლობაში“-ო. ასეთივე სიტყვებით გამოვიდნენ სხვა უპარტიო სტუდენტებიც, რომელნიც თანამგრძნობთა ჯგუფების ჩამოყალიბებას უდიდესი სიხარულით შეხვდნენ.

ს. ჭ.

## რა გამოარკვია შემოწმებამ

სწავლების მაღალი ხარისხის მიღებისა და სასწავლო გეგმების ბოლშევიკურად შესრულებისათვის მე-2 საკავშირო კონკურსთან დაკავშირებით მოცემული ძირითადი მაჩვენებლების საფუძველზე სახუნტის სტუდენტობა 100 პროცენტით ჩაება სოც-შეჯიბრებაში და 60 პროცენტით კი დამკვრელობაში.

მეორე სემესტრის განმავლობაში სოც-შეჯიბრებისა და დამკვრელობის შესრულების მიმდინარეობის შემოწმება მოხდა ორჯერ. 1-ლი შემოწმების საფუძველზე მივიღეთ ის, რომ სოც-შეჯიბრების მუხლებს ამართლებდა სტუდენტობის 83 პროცენტი, ხოლო დამკვრელობას 82-პროცენტი. მეორეჯერ ჩატარებულმა შემოწმებამ, გამოარკვია რომ ნამდვილად სტუდენტთა 100 პროცენტი ასრულებს სოც-შეჯიბრებით მიღებულ ვალდებულებებს, დამკვრელი სტუდენტების 90 პროცენტი ნამდვილად ამართლებს დამკვრელობას. ამ მხრივ 1-ლ ადგილს იჭერენ პარტ-კომკავშირის წევრები.

ფაკულტეტებს შორის მოწინავეა ისტორიულ-ლიტერატურული. არიან მოწინავე ჯგუფები და სტუდენტები, რომლებიც დადებითად უპასუხებენ მეორე საკავშირო შეჯიბრებაში გათვალისწინებულ ყველა ობიექტზე როგორიცაა: გაცდენების ლიკვიდაცია, მაქსიმუმ. ლიტერატურით დამუშავება, საზოგადოებრივი მუშაობა და სხვ. მოწინავე ჯგუფებია მე2რე კურსის ფილოსოფიური სექცია, პი-1-ლი კურსის ქართული სექცია, მე2რე კურსის რუსული სექცია და სხვა.

საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან სოც-შეჯიბრებისა და დამკვრელობის გამართლების მხრივ სტუდენტები: **კოპალიანი ვასო, ნიკოლაიშვილი იონა, ხუხუა დიმიტრი, მეგრელიშვილი დანიელი, ტულუში მოსე, ჩხარტიშვილი კოლია, ფალავანდიშვილი სევერიან, ლობჟანიძე მიხეილი, ტორონჯაძე გრიშა და სხვა.**

სამწუხაროდ არიან ისეთი სტუდენტებიც, რომლებიც ვერ ასრულებენ სოც-შეჯიბრებისა და დამკვრელობის მუხლებს. ასეთებია: **ქავთარაძე ირინე, ნადარეიშვილი საშა, მშვიდობაძე პეტრე და სხვა.**

დარჩენილი დრო უნდა გამოვიყენოთ რაციონალურად და მთელი ჩვენი ენერგიით დავირაზმოთ მეორე საკავშირო სოც-შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

პ. მეტრეველი

### ცნობა სტუდენტთა გაცდენებზე.

6/VI-12/VI-მდის.

| №№ რიგზე | ფაკულტეტების დასახელება | გეგმით უნდა წაკითხულიყო | გაცდენილია | % | საპატიო მიზეზით | % | არა საპატიო მიზეზით | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ეკონომიური . , . . . . | 12281. | 498. | 4,05. | 206. | 1,68. | 292. | 2,37. |
| 2 | საბჭ. აღ. და სამ. . . . | 2751. | 64. | 2,33. | 64. | 2,33. | —. | —. |
| 3 | ისტ. ლიტ. . . . . . . . | 6102. | 16. | 0,26. | 16. | 0,26. | —. | —. |
| 4 | ფიზ. მათემატ. . . . . . | 4485. | 82. | 1,83. | —. | —. | 82. | 1,83. |
| 5 | საბუნების.მეტყ. . . . | 3229. | 130. | 4,02. | 24. | 0,75. | 106. | 3,27. |
| | ს უ ლ . . . | 28848. | 790. | 2,78. | 310. | 1,08. | 480. | 1,70. |

### ცნობა პედ.-პერსონალის გაცდენებზე.

6/VI-12/VI-მდის

| გეგმით უნდა წაკითხულიყო | გაცდენილია | პროც. | საპატიო მიზეზით | პროც. | არა საპატ. მიზეზით | პროც. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2257 | 8 | 0,35 | 6 | 0,26 | 2 | 0,09 |

საწარმოო პრაქტიკა

# ავამაღლოთ საწარმოო პრაქტიკის ხარისხი
## მეტი ყურადღება პრაქტიკას

25 მაისს ქალ. ქუთაისში სახ. უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დეკანი ამხ. **გრ. ჯანელიძე** გაეცნო ქუთაისის რაიონში განაწილებულ ეკონომიური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტების პრაქტიკის მიმდინარეობას. კონფერენციაზე, სადაც შეიკრიბა 20-დე სტუდენტი აღნიშნული იქნა ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლითაც ხასიათდება წელს ჩვენი საწარმოო პრაქტიკა. ქუთაისის რაიონში გაგზავნილი სტუდენტები პრაქტიკაზე თავის დროზე გამოცხადდენ და დაიწყენ მუშაობა. წარმოება-დაწესებულებებმა დახმარება გაგვიწიეს და მაშინვე დაგვიშვეს პრაქტიკაზე. კონფერენციაზე აღნიშნული და გარკვეული იქნა ის საკითხები, რომლებიც წარმოების პროცესში შეხვდა გაურკვეველი. ამხ. **გრ. ჯანელიძემ** პასუხი მოგვცა კითხვაზე და შეგვპირდა ლიტერატურით დახმარება, კონსულტაციის მოწყობა და გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის“ ყოველი ნომრის გადმოგზავნა. ჯერ-ჯერობით საფინანსო ხაზით ჩამოვიდა ლექტ. **კაკაბაძე**. ახლა კი ველოდებით კონსულტატორს საგეგმო ხაზით. პრაქტიკის დასრულების შემდეგ, ჩვენ თითოეული სტუდენტი შევადგენთ ჩვენი ყოველდღიური მუშაობის წერილობით დღიურს, და ჩამოსვლის დროს წარუდგენთ უნივერსიტეტს, რომ შემდეგ კიდევ უფრო მტკიცე ნიადაგზე წარიმართოს პრაქტიკის საქმე.

ქუთ. რაიონის პრაქტიკანტ სტუდენტების დავალებით სტუდენტი

**გიორგი ყალიჩავა.**

ქუთაისი—1934 წ. 12 ივნისი.

## როგორ ტარდება პრაქტიკა

საფინანსო-სავაჭრო სექციის III კურსის რამდენიმე სტუდენტი საწარმოო პრაქტიკის გასავლელად მიმაგრებულია ტფილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაზე. შემოწმებიდან ირკვევა, რომ პრაქტიკანტებს არ აქვთ არავითარი ხელმძღვანელობა სპეციალისტების მხრივ. მათ არ აქვთ შედგენილი გეგმა და არის იმის შემთხვევები, როდესაც პრაქტიკანტ სტუდენტებს ეპყრობიან უხეშად. ამას წინათ პრაქტიკანტები არ დაუშვეს ცეხში. ისინი ჯერ კიდევ არ არიან გატარებული ბრძანებაში და არ არსებობს არც იმის შესაძლებლობა. რომ აღრიცხული იქნას წარმოებაში მათი გაცდენა დაგვიანების შემთხვევები. ფაბრიკის დირექტორი ამხ. **ივანე მახარაძე** არავითარ ზომებს არ ღებულობს სტუდენტების შესაფერი მოწყობისათვის პრაქტიკის გასავლელად. ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორია საქონელთმცოდნეობის სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობა ფაბრიკაში, ის გვიპასუხებს: **„არ ვიცი, გენაცვალე, ჩვენ ამ დარგის პრაქტიკანტი სტუდენტები სრულებით არ გვჭირდება და არც აქვთ ჩვენს წარმოებასთან ასეთი პროფესიის ხალხს დამოკიდებულება, მე მათ ვუთხარი თავის დროზე და მაინც აქ არიან. უკეთესი იქნება, რომ სხვა წარმოებაში წავიდნენ და იქ იმუშაონ. აქ კი რა უნდათ“?**

აშკარაა დირექტორი ვერ არის კარგად განწყობილი ჩვენ სტუდენტებთან. მას განგებ არ უნდა უდაშვას სტუდენტები პრაქტიკაზე თავის საწარმოში. აქედან გასაგებია, თუ როგორ გულგრილად უნდა უწევდეს სტუდენტებს ხელმძღვანელობას ეკონომისტი **კ. კუხალეიშვილი**.

პრაქტიკანტ სტუდენტებისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება პირველი სამკერვალო ფაბრიკის ხელმძღვანელობის მხრივ, ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია. ვფიქრობთ ამ საქმეში დროზე ჩაერევა საქონელთმცოდნეობის კათედრა და საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი და საქმეს დაუყოვნებლივ გამოასწორებენ.

მ. ხ.

## ხელი შევუწყოთ საქონლის ბრუნვის მოწესრიგებას

სახუნტის ალმშენებლობის და სამართლის ფაკულტეტი აერთიანებს 260-ზე მეტ-სტუდენტს. სტუდენტთა უმრავლესობაზე ირიცხება კოოპერაციის დავალიანება, 2500 მანეთის რაოდენობით. მეორე კვარტალში მოცემულია გასანაღდებლად 1000 მან. (აპრილში 700 მან., მაისში 200 მან, ივნისში 100 მან) შესრულების მხრივ მდგომარეობა ასეთია. აპრილში კოოპერაციის მარკების მისაღებად ხელის მოწერა უდრის 712 მანეთს, აქედან რეალიზებულია 425 მანეთის მარკა. დანარჩენის განაღდებისათვის მიღებულია ზომები პარტ-კომკავშირის და პროფკავშირის ორგანიზაციების მიერ. ჩვენს კოპერაციაში წევრთა გაერთიანება იძლევა შემდეგ მაჩვენებელს: წევრია 161 კაცი, მათშორის პარტიის და კომკავშირის წევრი 99 კაცი, აქედან 64 სრულ პაიანია. 35 არა სრულ პაიანი, დანარჩენი62-კაციდან (უპარტიო) სრულ პაიანია 46 კაცი, ხოლო 16 არა სრულ პაიანი. დავალიანება პარტ-კომკავშირზე ირიცხება 811 მანეთი, უპარტიოებზე 218 მანეთი. სულ 1029 მანეთი.

პ. ქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კათედრების და კაბინეტების გამგეებო!

## იყავით მზად! კონკურსში გამარჯვების მოსაპოებლად. შეამოწმეთ თქვენი განვლილი მუშაობა და ბოლშევიკურად ემზადეთ მომავალი სასწავლო წლისათვის

### პროფ. შ. ნუცუბიძის კათედრა მუშაობს ასე

დასავლეთ ევროპის ლიტერ. კათედრამ საწ. გეგმა შეასრულა. ამ უკანასკნელ დღეებში ის შემოწმებული იქნა თვით კათედრის ხელმძღვანელობის მიერ. ჩატარებული არის კათედრის ღია სხდომები, სადაც სპეციალურად მეთოდური ხასიათის მოხსენებებია წაკითხული შემდეგ საკითხზე—ა) მიმდინარე აღრიცხვის შესახებ, პროფ. ნუცუბიძის მიერ. ბ) ენების სწავლების მეთოდიკის შესახებ—დოც. ტაქიშვილის მიერ. შედგენილი აქ[illegible]სტაბილური გეგმები გარდა იმ ახალი განაწილებული საგნებისა, რომელთა წაკითხვა განზრახულია მომავალი სასწავლო წლისათვის. კათედრის სხდომაზე ლექტორები ადგენენ ანგარიშს სტუდენტებთან მუშაობის შესახებ. ჩამორჩენილ სტუდენტების დახმარებას აქვს ინდივიდუალური ხასიათი.

კათედრა აწარმოებს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას. იბეჭდება გრ. წერეთლის სახელმძღვანელო — ანტიკურ ლიტერატურაში, იწერება ბიზანტიის ლიტერატურის ისტორია და ევროპის ლიტერატურა, I ტომი პროფ. შ. ნუცუბიძის მიერ. ჩატარებულია კათედრის მიერ 4 სამეცნიერო საჯარო მოხსენება.

დამზადებულია შემდეგი მოხსენებები 1) გრ. წერეთლისა, „მენადრეს კომედიები“, 2) ბერაძისა, „კატილინა, როგორც სოციალური მებრძოლი ძველ რომში“, 3) ყაუხჩიშვილისა „ზოგიერთი ბერძნული ტექსტების ქართული თარგმანების გარჩევის შესახებ“. სულ გეგმის მიხედვით დამზადებულია 7 მოხსენება. კათედრის წევრებისმიერ დამატებით ჩატარებულია სხვადასხვა სახის მოხსენებები კლუბებსა და დაწესებულებებში.

კარგად აქვს დაყენებული კათედრას ასპირანტების ხელმძღვანელობა. კათედრაზე მიმაგრებული არიან ასპირანტები: გრ. ხავთასი, ბერაძე. ამჟამად იწერება 2 დისერტაცია, რასაც უშუალო ხელმძღვანელობას უწევს კათედრის გამგე. გარდა ამისა დახმარებას უწევს აღნიშნული კათედრა სხვა კათედრის ასპირანტებსაც.

კათედრას ნაკლიც აქვს. სუსტია სტუდენტთა მონაწილეობა კათედრის მუშაობაში. კათედრა არ უწევდა სწავლებას კონტროლს ლექციებზე დასწრებისა და ლექციების გარჩევის გზით.

ტ. დ.

### ვიძლევი სიტყვას

„ბოლშევიკური კადრებისათვის“ გაზეთში მოთავსებული შენიშვნა (იხ. № 10) „ვიბრძოლოთ კულტურული ცხოვრებისათვის“ მეც შემეხებოდა. წერილის ავტორები მე მისაყვედურებდენ უსუფთაობას, ეს მართალია. მე მართლაც ვცხოვრობდი უსუფთაოდ. გაზეთში მოთავსებულმა წერილმა ჩემზე მოახდინა დიდი გავლენა, ვიფიქრე რატომ უნდა ვიყო მე ქვეყნის ყბად ასაღები მეთქი და გადავწყვიტე მომეკიდა ხელი სუფთა და კულტურულ ცხოვრებისათვის. დაუყოვნებლივ შევიძინე სუფთა საცვლები, საპონი, პირსახოცი, ტაშტი და სხვ. ნამდვილად რომ ვთქვა, ეხლა მკტიცედ ვიცავ სისუფთავეს ყოველ ექვსდღიურში დავდივარ აბანოში. ვფიქრობ სისტემატურად ვიარო კინოში, თეატრში და გამოვიწერო აგრეთვე გაზეთები.

ჩემს ახლო-მახლო ზოგიერთ სტუდენტებს არ მოეპოვებათ ტაშტი და ისინი მართლაც ხშირად უსუფთაოდ წვებიან მე მგონია ამ მხრივ ვაჯობე სხვას.

ვფიქრობ, რომ რედაქციის მიერ ჩემი გაფრთხილება იქნება სიგნალი სხვა სტუდნტებისათვისაც და ისინი ყოველმხრივად იზრუნებენ სისუფთავის დაცვისა და კულტურული ცხოვრებისათვის.

აკ. ფირცხალაიშვილი.

### გაცდენილია III საათი
#### (საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი)

პარტიული კომიტეტის დადგენილება თავის დროზე იქნა დამუშავებული ფაკულტეტების პარტიული ორგანიზაციების მიერ, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ კიდევ მოგვეპოება ისეთი სტუდენტები, რომლებიც არ აფასებენ პარტიული კომიტეტის ამ მნიშვნელოვან დადგენილებას, უმიზეზოდ აცდენენ ლექციებს და მით გარღვევის წინაშე აყენებენ ფაკულტეტს. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავასახელოდ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ზოგიერთი სტუდენტები: ჭიკაშვილი ალექსანდრე, რომელმაც გააცდინა მაისში 15 საათი, ჩოლოყაშვილი ნიკოლოზი—28 საათი, ლობჟანიძე გრიგოლი—11 საათი, ახმეტელი ელენე—17 საათი, აბულაძე თინა—20 საათი. აღნიშნულ სტუდენტების მიმართ არავითარი ზომები არ არის მიღებული ფაკულტეტის ორგანიზაციის მიერ, საჭიროა სასტიკი ზომების მიღება.

ფაკულტეტს ჰყავს საუკეთესო სტუდენტებიც, რომლებსაც არ აქვთ არც ერთი წუთის გაცდენა-დაგვიანება და იძლევიან მეცადინეობის მაღალ მაჩვენებლებს. ასეთებია: ღომაია ილიკო, ტუღუში ალექსანდრე, პერტენავა ლავრენტი, სამხარაძე ივანე, ოტიაშვილი ქეთო, კოჭლამაზაშვილი ნინა, სანაძე დავითი, ჭეიშვილი იულია და სხვ.

მ. ნიწუა.

### ასისტენტთა კათედრა

გეოგრაფიის კათედრას საწარმოო გეგმა შესრულებული აქვს. ყველა საგანში პროგრამა შესრულებულია 20 - 25 მაისისათვის. დარჩენილი დრო კი მოხმარდა 1-ლ და მეორე კურსის სტუდენტების მიერ გეგმის გარეშე საველე მუშაობის ჩატარებას. სესიები ჩატარებულია 3 საგანში, ხოლო ამჟამად ტარდება ნიადაგმცოდნეობისა და ფიზიკურ გეოგრაფიაში.

მზადება მომავალი სასწავლო წლისათვის შედარებით კარგად მიმდინარეობს. შედგენილია გეგმა, რომელიც დეკანატისა და სასწავლო ნაწილის მიერ დამტკიცებულია. აგრეთვე მზად არის კარტოგრამები, ნახაზები, დიაგრამები და სხვ. მასალები სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციისათვის.

სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისათვის მიღებულია ზომები კათედრის მიერ კლიმატოლოგიაში გადმოთარგმნილია ორი წიგნი, მათგან ერთი უკვე იბეჭდება. ეკონომიურ გეოგრაფიაში ორი წიგნი გამომცემლობაშია გადაცემული. აგრეთვე კათედრამ დაავალა პროფესორებს სახელმძღვანელოების შემუშავება, რომელთაგან მხოლოდ ნაწილი არის შესრულებული.

საწარმოო პრაქტიკის ჩასატარებლად შედგენილი გეგმის მხოლოდ 1-ლი ნაწილი შესრულდა, რომელიც ტფილისის მიდამოების გეოგრაფიულ შესწავლას შეეხებოდა, ხოლო მე-2 ნაწილი, ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოების გეოგრაფიული შესწავლა ჩაიშალა და მას ჯეროვანად ვერ დაუხვდა კათედრა. ტფილისში პრაქტიკა კარგად ჩატარდა. საგნების მიხედვით პრაქტიკანტ სტუდენტებზე მიმაგრებული იყვნენ სახელმძღვანელოდ ლექტორები. პრაქტიკის მსვლელობა შეჯამებულია კათედრის სპეციალურ თათბირზე.

სამწუხაროდ კათედრის მიერ ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა ახალგაზრდა კადრების მომზადებას. მათ არ უზრუნიათ გეოგრაფიაში სპეციალისტების მომზადებაზე. მუშაობს მათთან მხოლოდ ერთი ასპირანტი, რაც არ არის საკმარისი. სრულებით არ არის ასისტენტი და ამ მხრივ კათედრის ზრუნვაც სუსტია.



დამკ. ლექ. დ. ჭავჭანიძე

კათედრასთან არსებობს სამეცნიერო საკვლევი გეოგრაფიული ინსტიტუტი, რომელშიაც კათედრის თანამშრომლები არიან ჩაბმული.

უნდა აღინიშნოს, რომ კათედრისა და გეოგრაფიული ინსტიტუტის მუშაობა იმდენად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ძნელი ხდება მათი ცალკე ნამუშევრისა და ფუნქციების გარკვევა. გეოგრაფიის ინსტიტუტის გეგმა ძირითადათ შესრულებული აქვს. მხოლოდ გეგმის ის ნაწილი, რომელიც ეხება კოლხეთის ბარის გეოგრაფიულ შესწავლას, მთლიანად არ არის შესრულებული (ეკ. გეოგრაფიის ნაწილი და გაფორმება). ეს მდგომარეობა მიეწერება იმას, რომ ზოგიერთმა პროფესორმა მეტი ყურადღება მიაქცია ინდივიდუალური სამუშაოების შესრულებას და ნაკლებად იზრუნა რეგიონალური სამუშაოს დასრულებისათვის, გეოგრაფიულ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მომავალი წლისათვის საექსპედიციო მუშაობის ჩატარება კახეთის მიდამოების გეოგრაფიული შესწავლისათვის, შედგენილია ხარჯთაღრიცხვა და გეგმა. მოსამზადებელი მუშაობა დამთავრებულია.

სტუდენტთა სამეცნიერო წრეებს დახმარება დღემდე სუსტად ეწეოდა. საჭიროა მეტი ორგანული კავშირი და ხელმძღვანელობა კათედრის მიერ.

ტ.

### ჯგუფს დაეტყო გამოსწორება

ისტორიული-ლიტერატურული ფაკულტეტის № 47 ჯგუფი ყველაზე უფრო დიდია ფაკულტეტის მაშტაბით. პირველ ხანებში ამ ჯგუფში ხშირი იყო გაცდენები, წესრიგის დარღვევა. მაგალითად პირველ სემესტრში ყოველ 6 დღიურში გაცდენა უდრიდა 10—20 საათს. ამჟამათ გაცდენების რიცხვი დაყვანილია ნულამდის. განმტკიცდა წესრიგი. გამოსწორდა ისეთი სტუდენტები, როგორიც არის არონ კრიხელი.

მიუხედავათ ამისა ჯგუფში ჯერ კიდევ არიან უდისციპლინო სტუდენტები, რომელთა წინააღმდეგ სამკუთხედი ღებულობს ვოველგვარ ზომებს. ჯგუფში ირიცხება 6 სუსტი სტუდენტი. მათზე სრული ნებაყოფლობით მიმაგრებული არიან ძლიერი სტუდენტები.

რაც შეხება გეგმების შესრულებას შეიძლება ითქვას რომ ამ მხრივაც მთელ რიგ საგნებში (ქართული ენა, ფონეტიკა, ენათ მეცნიერების პროპედევტიკა, რუსულ ენაში და სხვა.) გეგმები შესრულებულია და ჯგუფს აქვს მიღწევები. მაგრამ ამასთან ერთად ჯგუფი ჩამორჩა ზოგად ფსიქოლოგიაში და პოლიტ-ეკონომიაში. ეს საგნები უნდა წაკითხულიყო და შემდეგ არ იქნა წაკითხული. ასევეა პოეტიკაშიც. ამ საგანში პროგრამა არ დამთავრებულა.

პლ. ბულია.

### ენერგიულად მუშაობენ

საგეგმო განყოფილების და 1-ლ და მე-2 კურსის კომკავშირის უჯრედმა დროულად გაშალა მუშაობა პარტიული კომიტეტის დადგენილების რეალიზაციისათვის. სოც-შეჯიბრებაში კომკავშირლები 100 პროც. არის ჩაბმული, დამკვრელობაში კი—60 პროც. ერთთვიურთან დაკავშირებით გაძლიერდა მუშაობა სუსტ სტუდენტებისათვის დახმარების გასაწევად. ხელმძღვანელებად გამოყენებული არიან საუკეთესო ძლიერი კომკავშირელი სტუდენტები: ეხვაია ილია, ჩხაიძე ვასო, დაბრუნდაშვილი ანიკო, გაბუჩია მარიამი, ცაავა გიორგი, მელაძე ალექსანდრე, იმერლიშვილი ანა, რუხაძე ვარლამი, უკლება ალექსანდრე, კვინიკაძე გიორგი, მარშანია შალვა და სხ. საბუქსირო ჯგუფები დახმარებას უწევენ 49 კომკავშირელს. ჩვენი ამოცანაა: არც ერთი „სუსტი“ საგანში; ცენტრალური ადგილი ნიშნებში „ფრიადებმა“ და „კარგებმა“ უნდა დაიკავოს.

ენერგიულად მუშაობენ ახალგაზრდა ლექტორებიც, მაგალითად: დოც. ჭავჭანიძის მიერ ჩატარებულია 3 ჯგუფში 18 საათი, ასპირანტ ჩარექიშვილის მიერ—6 საათი, ასპ. ფურცელაძის მიერ—4 საათი, ასპ. წერეთლის მიერ—4 საათი, ბზიკაძის მიერ—2 საათი, და სხვ.

უჯრედმა სასტიკი ზომები მიიღო შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ. მაგალითად: გიორგი თელიას, დავით ჟორჟოლაძეს და ჟენია გრიგოლაშვილს გამოეცხადა საყვედური ლექციების არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის.

მოწინავეებათ ითვლებიან მუშაობის მხრივ № 3, 8, 9, 16 და 2 ჯგუფის კომჯგუფები.

ა. ფაცურია.

### ყურადღებას არ აქცევენ

ტფ. სახუნტის ბიბლიოთეკა მომსახურეობას უწევს სტუდენტთა და პროფ—ლექტორთა შემადგენლობას. პარტკომის მითითების შემდეგაც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო მუშაობის გამოსწორება. ბიბლიოთეკამ საფუძვლიანად უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტთა ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესებას. ამ ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება ლიტერატურა საჭირო რაოდენობით, განსაკუთრებით სამართლის დარგში. ზოგიერთი წიგნისათვის სტუდენტებს უხდებათ რიგში დგომა მთელი თვეობით. არის შემთხვევა, როდესაც ზოგიერთი სტუდენტები დროზე არ აბრუნებენ წიგნებს ბიბლიოთეკაში, მაგალითად: ადუაშვილი ლუბა, მოსულიშვილი ლეო, ძინძიბაძე ივანე, მაჭავარიანი ტრიფონი, ნადირაშვილი ქეთევანი, ჟვანია ალექსანდრე, ჭარბაძე დომენტი და სხვ. ეს გარემოება ცუდ გავლენას ახდენს სტუდენტთა აკადემიურ მუშაობაზე, ხოლო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები კი მას ყურადღებას არ აქცევენ.

პ.

# მოწინავე ჯგუფი

ჯერ კიდევ მიმდინარე სასწავლო წლის პირველი დღეებიდანვე ეკონომიური ფაკულტეტის მე-2 კურსის №9 ჯგუფის სამკუთხედმა მთავარი ყურადღება სწავლების მაღალი ხარისხისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლას მიაქცია.

სამკუთხედის კონკრეტული ხელმძღვანელობით, შრომის სოც-ფორმების სწორად გამოყენებით, დისციპლინის განმტკიცებითა და პარტ-კომკავშირელთა ავანგარდული როლის გაძლიერებით ჯგუფმა ეკონომიურ ფაკულტეტზე მეორე და სავეგმო სექციაზე პირველი ადგილი დაიკავა. პირველ სემესტრში ჯგუფის საშუალო ნიშანი იყო 4,5. აქედან პარტწევრკანდიდატისა — 4,6, კომკავშირლებისა—4,4 და უპარტიოებისა—4,3.

მე-2 სემესტრში სამკუთხედმა კიდევ უფრო გააღრმავა ბრძოლა სწავლების მაღალი ხარისხისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის.

შემოღებულ იქნა წითელი და შავი დაფა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი დისციპლინის განმტკიცებას. მთლიანად ეყო ლიკვიდაცია სტუდენტთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენებს. ამ მხრივ ჯგუფმა პირველად შეასრულა პარტიული კომიტეტის დადგენილება. აღარ აქვს ადგილი დაგვიანების შემთხვევებს და მინიმუმამდის იქნა დაყვანილი საერთო გაცდენები.

სრულ ნებაყოფლობის საფუძველზე ჩამოყალიბდა საბუქსირო ჯგუფები სუსტ სტუდენტთა დახმარებისათვის პოლიტეკონომიაში, დიამატში, მათემატიკურ სტატისტიკაში და სხვ.

საუკეთესო სტუდენტებად, რომლებსაც არ აქვთ გაცდენები, აკადემიურად ძლიერი არიან და ეხმარებიან სუსტ სტუდენტებს, ითვლებიან: **ჯიჯეიშვილი, ბერაია, ეხვაია, მოისწრაფეიშვილი, ჩიხლაძე, ხიტორი, ანთაძე, გოგუაძე** და სხვ.

აღსანიშნავია აგრეთვე ლექტორების მიერ სუსტი სტუდენტებისათვის დახმარების გაწევა. ლექტორმა **მანჯგალაძემ** დამატებითი კონსულტაცია ჩაატარა 5-ჯერ. ასევე გერმანული ენის ლექტორმა **პფეფერმა**, ჩამოაყალიბა ჯგუფში გერმანული ენის შემსწავლელთა ძლიერი ჯგუფი, რომელსაც ორი თვეა ამეცადინებს დამატებით საათებში. ის სუსტ სტუდენტებსაც დიდად ეხმარება. ატარებს კონსულტაციებს და სხვ.

ჯგუფი საზოგადოებრივ-მასობრივი მუშაობის მხრივაც მოწინავეა; მე-2 სემესტრის განმავლობაში მოეწყო 5 შაბათობა, თითოეული სტუდენტი გაერთიანებულია 3 თავისუფალ ორგანიზაციაში, ჯგუფში ვრცელდება 44 ცალი ჟურნალ-გაზეთი.

ჯგუფი მიმდინარე საკითხებსაც მომზადებული ხვდება და იბრძვის პირველობის შენარჩუნებისათვის. ასეთია მუშაობა იქ, სადაც სამკუთხედი ენერგიულად მუშაობს. ჯგუფის პარტორგია ამხ. **ლომაძე**, ჯგუფის მდივანი ამხ. **ცავარეიშვილი**, პროფორგი—**გვარჯალაძე**, კომორგი—**ეხვაია**.

**ვ. შემოქმედელი.**

# 15 დამატებითი საათი

სამართლის ფაკულტეტის ყველა კურსზე ჩამოყალიბებულია 11 საბუქსირო ჯგუფი 27 სტუდენტისათვის; მათთან მიმაგრებული არიან ძლიერი სტუდენტები: **ხუროძე, ბოცვაძე, ანთელიძე, ნინუა, პერტია** და სხვა. რომლებიც სისტემატიურად მეცადინეობენ და ეხმარებიან ჩამორჩენილ სტუდენტებს.

აგრეთვე დიდ დახმარებას უწევენ სუსტ სტუდენტებს **პროფ. ნანეიშვილი, ვაჩეიშვილი, სურგულაძე და სხვა.** დღემდე პროფესორ—ლექტორთა მიერ ჩატარებულია 15 დამატებითი საათი. ჩვენი ამოცანა ბოლომდის ვიბრძოლოთ სწავლების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებისათვის.

პარ. კიზირია.

# ქრონიკა

## იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა

**1. შაჰ-ნამე—საიუბილეო გამოცემა გამოჩენილ სპარსელ პოეტის ფირდოუსის ათასი წლის თავზე—ი. აბულაძის, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით, შენიშვნებით და ლექსიკონით.**

**ფერადი სურათები შესრულებული იქნება მხატვარ ი. გაბაშვილის მიერ.**

**ტექსტის თითოეული გვერდი გარშემოვლებულია ორ ფერიან არშიით.**

**გამოცემა იბეჭდება მაღალ ხარისხის ქაღალდზე და ჩასმული იქნება ძვირფას ყდაში.**

**ტიტული, გარე კანი და სუპერტიტული შესრულებული იქნება მხატვარ ი. გაბაშვილის მიერ.**

**წიგნის მოცულობა იქნება 640 გვ.**

**2. დოც. კეცხოველი, საქართველოს ძირითად მცენარეთა ტიპები.**

**3. კ. სულაქველიძე, რიცხვთა თეორია**

**4. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება.**

**5. კ. ჭკუასელი, სასწავლო-პედაგოგიურ პროცესის ორგანიზაციისათვის უმაღლეს სკოლაში.**

**6. კუკავაძე და ყიფშიძე, ოპტიკა და აკუსტიკა.**

**7. პროფ. გ. ჯავახიშვილი, ზოოლოგია, ნაწ. მე-2, განაკვ. 1, 2, 3.**

**8, ალ. ბარამიძე, ფირდოუსი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა.**

## გამოცემულია და იყიდება

**1. პროფ. ლ. გოკიელი, სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები.**

**2. პროფ. გ. თავზიშვილი, საბჭოთა პედოლოგიის საკითხებისათვის.**

**3. მარქსისტულ ენათმეცნიერებისათვის, სტატიათა კრებული, მიძღვნილი ნიკო მარისადმი.**

**4. პროფ. ლ. მელიქსედ-ბეგი, ძველი სალიტერატურო სომხური ენის გრამატიკის სქემა.**

**5. ბაბილონის მეფის ხამურაპის კანონები, პროფ. ალ. წერეთლის რედაქციით.**

**6. მეთოდური კრებული.**

— —

**ტფ. სახ. უნ-ტის ბიბლიოთეკა წინადადებას აძლევს უნ-ტის პედაგოგიურ პერსონალს, ასპირანტებს და სტუდენტებს 25 ივნისამდე დააბრუნონ მათ მიერ წაღებული წიგნები, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება ზომები წიგნების დასაბრუნებლად.**

**დირექცია.**

რეიდი

# ვინ როგორ იბრძვის პარტკომის დადგენილების რეალიზაციისათვის

სახ. უნტის პარტკომის დადგენილების რეალიზაციის შემოწმებამ ერთთვიურის ჩატარების შესახებ გამოამჟღავნა, რომ ზოგიერთი ფაკულტეტები, კათედრები და ცალკე ჯგუფები სუსტად იბრძვიან გაცდენების წინააღმდეგ დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამ მხრივ „საუკეთესო“ ნიმუშს იძლევა ფიზიკურ—მათემატიკური სექციის III კურსის №65 ჯგუფი. ორ დეკადაში არა საპატიო მიზეზით ამ ჯგუფის სტუდენტს **ქადაგიშვილს** გაცდენილი აქვს 10 საათი, **გვახარიას—12** საათი, ბახტაძეს—4 საათი. ამის შესახებ სიტყვაც არავის დაუძრავს. ამავე ფაკულტეტზე III კურ. №64 ჯგუფს პარტკომის დადგენილება 21 მაისისათვის არც კი ჰქონდა დამუშავებული, ამიტომ გასაგებია, თუ როგორ იბრძოლებდა ეს ჯგუფი აღნიშნული დადგენილების შესრულებისათვის. №60 ჯგუფს გაცდენების მხრივ „რეკორდი“ აქვს დამყარებული.

2 დეკადის განმავლობაში ამ ჯგუფს გაცდენილი აქვს არა საპატიოდ დროის 30 პროცენტი, თუმცა ფაკულტეტს აქვს მიღებული ზომები არა—საპატიო გაცდენთა წინააღმდეგ: **საყვედური აქვს გამოცხადებული 22 კაცს, სასტიკი საყვედური—16 კაცს, სტიპენდია მოეხსნა 3 კაცს, დაუქვითეს ორს და სხვ.**

ამგვარ მახინჯ მოვლენებს შეხვდებით საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზედაც. გეოლოგიური სექციის I კურსის №71 ჯგუფის სტუდენტს **გიორგი ქურდოვანიძეს** გაცდენილი აქვს 11 საათი, ის არის ცრუ დამკვრელი, სუსტი აქვს ქიმიაში და მათემატიკაში. ცრუ დამკვრელია აგრეთვე ამავე ჯგუფის სტუდენტი **კაკურია** ორივენი იყვნენ შეტანილი შავ დაფაზე.

გეოლოგიური სექციის №70 ჯგუფში სტუდენტს **თამარ პავლიაშვილს** გაცდენილი აქვს უმიზეზოდ 7 საათი, ის აკადემიურადაც სუსტია, საბუქსირო ჯგუფში არ დადის. სუსტი და უდისციპლინო არიან ამავე ჯგუფიდან **სამჭკუაშვილი და თურქესტანიშვილი.**

ქიმიური განყოფ. №73 ჯგუფიდან **ვალენტინა ქურდოვანიძე** გაცდენილი აქვს 12 საათი და აკადემიურად სუსტია. ამავე ფაკულტეტის ბოტანიკური სექციის №75 ჯგუფი მოწინავეა სასწავლო ნაწილის მიერ დაჯილდოებულია ხუთი სტიპენდიით, სამჯერ იყო წითელ დაფაზე მოთავსებული.

პარტკომი აფრთხილებდა სამკუთხედებს არ დაეშვათ გაცდენების ხელოვნური შემცირება, მაგრამ ასეთ დაუდევრობას ჯერ კიდევ აქვს ადგილი ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტის მათემატიკური სექციის I კურსის №60—ბ ჯგუფში. აქ სისტემატიურად წარმოებს ჩანაწერების წაშლა ამ ჯგუფის პარტორგია ამხ. **ახალაძე**, ხოლო ჯგუფის ხელმძღვანელი **გაბისკირია** აღნიშვნების თითქმის 50 პროცენტი ამოშლილია.

ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს ამავე სექციის III კურ. №64—65 ჯგუფში. სტუდენტების **კიტოვანის, ლილუაშვილის, თევზაძეს, ურუშაძისა და როყუას** გაცდენები მთლიანად ამოშლილია ჟურნალიდან **„ვიღაცას“ მიერ.** ამ ჯგუფების სამკუთხედებს პასუხი უნდა მოეთხოვოს ასეთი „აღრიცხვისათვის“.

სამაგალითო შედეგებს მიაღწია პარტკომის დადგენილების განხორციელებაში ისტ.-ლიტერატურულმა ფაკულტეტმა. თითქმის ლიკვიდირებულია უმიზეზო გაცდენები და შემცირებულია საერთო გაცდენები. პარტ—კომკავშირული ორგანიზაცია გულ მოდგინედ იბრძვის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ქართული სექციის II კ. სტუდ. **მესხია** გარიცხული იქნა კომკავშირიდან გაცდენებისათვის. **მგალობლიშვილისა და გობეჩიას** გამოეცხადა სასტიკი საყვედური და ისინი გააკრეს შავ დაფაზე. ჯგუფის სამკუთხედები პირველი გაცდენისა და დაგვიანებისთანავე ღებულობენ ზომებს. სტუდ. **ქადაგიძე** დაგვიანებისათვის გააკრეს შავ დაფაზე. ძლიერ აწეულია ხარისხობრივი მაჩვენებლები. ატარებენ დამატებით საათებს ლექტ. **ციხისთავი, კობაძე, ვაჩნაძე, ნამორაძე და სხვ.** კარგად აქვს ჯგუფებს გაშლილი სოც-შეჯიბრება. კარგად იბრძვის ამავე სექციის პირველი კურსიც დადგენილების რეალიზაციისათვის. მას არ აქვს გაცდენები, გამოასწორა ჩამორჩენილი სტუდენტები: **ელიზბარაშვილი, კახიძე, ჯინჭველაშვილი** და სხვ. ატარებენ ზედმეტ საათებს **პროფ. ახვლედიანი, ლექტ. მგელაძე და სხვ.** ადგილი ქონდა საათების ცუდ შემჭიდროებას ბერძენიშვილის მიერ, რაც ახლა გამოსწორებულია.

შეიძლება ითქვას, რომ პარტკომის დადგენილების ყველაზე უკეთ გატარება უზრუნველყო სამართლისა და აღმშენებლობის ფაკულტეტმა. დადგენილება მათ დროულად დაამუშავეს. №44 ჯგუფში სტუდ. **ხუროძემ** გააცდინა 9 საათი, ქურდულიამ და ხოფერიამ 6—6 საათი. ფაკულტეტმა მათ მოუხსნა სტიპენდია, დააყენა საკითხი მათი უნივერსიტეტიდან გარიცხვის შესახებ და გააკრა შავ დაფაზე, ხოლო სტუდ. **ჯლარკავას აბრამიშვილს, გოგაძეს და თევზაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური 2—2 საათის გაცდენისათვის.**

ფაკულტეტი იბრძვის ლექტორთა გაცდენების ლიკვიდაციისათვის და საათების შემჭიდროებისათვის; მაგრამ აქ ყველაფერი რიგზე ჯერ კიდევ არ არის. სისტემატურად აცდენს საათებს **ლექტორი გეგენავა, აგვიანებს ს. ყალიჩავა.** ფაკულტეტმა მოახერხა სწავლების ხარისხის კიდევ უფრო აწევა გამოასწორა ჩამორჩენილი სტუდენტები: **ჩიხლაძე, ხიზანიშვილი და ჯანელიძე.** ატარებენ დამატებით საათებს **სურგულაძე, ნანეიშვილი, ვაჩეიშვილი და ელიოშვილი.**

სერიოზულ გარდატეხას მიაღწია დადგენილების გატარებაში **ეკონომიურმა ფაკულტეტმა.** მაისის პირველ დეკადაში (1—6 მაისამდის) მთელი გაცდენა უდრიდა 933 საათს —4,91 პროცენტს. აქედან არა საპატიო—2,21 პროცენტს. მეორე დეკადაში (6—12 მაისამდის) უდრიდა 1066 საათს—5,61 პროც.-ს, აქედან არა საპატიო—1,31 პროცენტს. დადგენილების შემდეგ კი 12—18 მაისამდის საერთო გაცდენა უდრიდა 840 საათს, აქედან არა საპატიო—1,22 პროცენტს. პირველ დეკადასთან შედარებით გაცდენები 2-ჯერ შემცირდა. 18—24 მაისამდის სულ გაცდენილი იყო 533 საათი, აქედან არა საპატი იყო 0,26 პროცენტი. მეორე დეკადასთან შედარებით გაცდენები 5-ჯერ ნაკლებია.

ფაკულტეტი—გაცდენების წინააღმდეგ იბრძვის ყველა საშუალებებით. არა საპატიო გაცდენის გამო გარიცხულ იქნენ უნივერსიტეტიდან შემდეგი სტუდენტები: **გოგლიძე გიორგი, ყორყოლაძე დავითი, ციციშვილი გიორგი, ბაჯელიძე დავითი, ჭოხონელიძე თამარი, ბუკია შოთა, მესხი თამარი და სხვ.** სტიპენდია შეუჩერეს I კურსზე 14 სტუდენტს, მეორეზე 11 სტუდენტს. მთელ რიგ სტუდენტებს გამოცხადებული აქვთ საყვედური. ფაკულტეტს ჰყავს ისეთი სტუდენტებიც, რომელთა გაცდენები მაისში აღშფოთებას იწვევს. მაგალითად I კურსის სტიპენდიანტ სტუდენტებს **ილი[illegible]ულიაშვილს და აკაკი ელიოშვილს** გაცდენილი აქვთ 6—6 საათი. თოთიბაძე ნელის (არა სტიპენდიანტი) —12 საათი, სამხარაძე ნინოს—12 საათი II კურსის №7 ჯგუფში **გოგია იროდიონს** გაცდენილი აქვს 12 საათი, №10 ჯგუფში **ბარბაქაძე ალექსანდრეს** გაცდენილი აქვს 14 საათი. №14 ჯგუფში **დოლიძე სერგოს** გაცდენილი აქვს 26 საათი, **ფიჩხაძე შალვას**—14 საათი, **კობელიძე მაიას—20** საათი, №15 ჯგუფში **ბენია ჩიტაიშვილს** გაცდენილი აქვს 10 საათი, **გოგოლაძე გიორგის**—16 საათი, №18 ჯგუფში **ვლადიმერ ბიჭაშვილს** გაცდენილი აქვს 16 საათი. №19 ჯგუფში—**ნადია ერისთავს** გაცდენილ[illegible] აქვს 20 საათი. რუსულ განყოფილებაზე №20 ჯგუფში **ზაქარაია გიორგს —24** საათი **გალინა კალესნიკოვს** —24 საათი, **ალექსანდრე ლოყანაშვილს**—12 საათი, **მშველიძე ნინოს**—16 საათი, ვიქტორ **ჭურღულს**—20 საათი და სხვ.

მიღწევები აქვს დადგენილების საფუძველზე დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების ხარისხის საქმეში უნივერსიტეტის **მუშფაკს.** მაგრამ ამასთან ერთად ადგილი აქვს უდისციპლინობასა და გაცდენებსაც. მაგალითად: II კურ. 3 ჯგუფიდან **ყაველაშვილს** 6 საათის გაცდენისათვის გამოეცხადა მხოლოდ გაფრთხილება. **ვაჩეჩილაძე** გარიცხეს არა საპატიოდ 24 საათის გაცდენისათვის. ჩამორჩენილი სტუდენტებისათვის დახმარება კარგადაა დაყენებული. დამატებითი საათები ჩაატარეს ლექტორებმა: **ვახტანგ ნათაძემ** 20 საათი, **გიორგი მოსეშვილმა** 10 საათი, **ნინო მჭედლიშვილმა** 10 საათი, **პაიჭაძემ** 4 საათი და სხვ. მომავალი სასწავლო წლისათვის მუშფაკი ემზადება ყოველმხრივ.

როგორც შემოწმების მასალები გვიჩვენებს, ზოგიერთ ფაკულტეტმა დიდ წარმატებას მიაღწია გაცდენების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ჯერ ნულამდის ის არ დაუყვანია. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სავსებით უზრუნველვყოთ გაცდენების ლიკვიდაცია და დისციპლინის სათანადოდ განმტკიცება. ამავე დროს უნივერსიტეტის წინაშე საბრძოლო ამოცანად ისახება მომავალი წლისათვის მზადება. პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღება ახლა გაცდენების ლიკვიდაციისა და დისციპლინის განმტკიცებასთან ერთად აქტიურ უნდა იქნას მიპყრობილ.

რეიდის მონაწილენი: დ. რამიშვილი, ტ. რუხაძე, ჩაჩანიძე, ხ. გამცემლიძე, ი. ჩარკვიანი.

ტირაჟი 500. სახელმწიფო უნივერსიტეტის ტიპო-ლითოგრაფია მთავლიტის რწმუნებული № 14